



თისა და პირადის ბედნიერების უკან დევნი-
ში, რომ ყოველს ზრუნვას საყოველთაო
კეთილსინდისი უსაქმო კაცის ოცნებადა მსთე-
ლიან, იმისთანა კაცნი, ეამბობ მე, რომელ-
ნიცა მუდამ ტრიალებენ ვიწრო-თავმოყვა-
რობის ვიწრო სტერაშია, არასდროს არ
აღწეულან თავისის პირადის სარგებლობის
უმაღლეს და არ გამოთბარან საზოგადოების
სიკეთის სიყვარულითა, იმისთანა კაცნი, ეამ-
ბობ მე, რომელნიცა საკუთარის ინტერესის
დათმობაში საყოველთაო სიკეთისათვის ხე-
დვენ მარტო ცდომილებასა და ატაცებუ-
ლებას გამოუცდელი ყმაწვილ-კაცობისასა
და არა ძლიერ-მოხილებას კაცის ზნობითის
ბუნებისასა! (მოდრობა და ტაშის-ცემა ზო-
გან).

«მოგახსენებთ რა მე ესე ყოველი, მე მქონ-
და მარტო ერთი, იქნება თამამი, მაგრამ
გულწრფელი სურვილი, რათა განეძლიერო
გულმოდგინება ჩვენი ამ საქმეში იმა მოვა-
ლეობისა და მოყვასთა სიყვარულის უწმინ-
დესისა იდეებითა, რომელნიცა აღამაინის
შვილს არამც თუ გასახსენებენ ხოლმე
თავის ქისას საზოგადო საჭიროებისათვის,
არამედ აქმნიენებენ დიდსა და სახელოვანსა
საქმეთაცა.

«თუ მაგოდენა შევიძელი მე, ამა კრებისა
საქმეთა სიძნელე გადავიღებდა, იმიტომ-რომ
მარტო ზნობითის აზრით საცეს გულმო-
დგინებასა შეუძლიან შემსწვიტოს უწმინდუ-
რი წყარო ყოველისა ჩვენის სიბნელისა, უ-
თანხმობისა და შეცილებისა!» (ტაშის ცემა
ზოგიერთაგან).

ჩვენ გავიგონებთ, რომ ზოგიერთ ქალაქის ვა-
ჭრებს კავკასიის მთავარ სამმართველოში სა-
ჩივარი შეუტანიათ ფოთი-თფილისის რკინის
გზის გაშენებლზე. საჩივარი, როგორც
ამბობენ, იმაში ედგომარობს, რომ საქო-
ნელს იღებენ გადმოსატან-გადასატანათ, ფასს
თითქმის ერთი ორათ გვანდენებენო, მაგ-
რამ თავის ღრობზე არ არსადეს არ მოგე-
დისო... არ ვიცით, მოახდინა, ან მოახდენს
მთავრობა ამის თაობაზე რაიმე განკარგულე-
ბას, თუ არა?

თფილისში ჩამოვიდა ამბავი, რომ ამ კვი-
რაში კიდევ რალაც უბედურება მომხდარა
რკინის გზაზე, როგორც ამბობენ, სურამის
სტანციასთან. ესეც ვითომ ახალი ამბავია...

წასულ კვირაში გამოვიდა თფილისში პი-
რველი წიგნი ახალი ჟურნალისა სახელად
«კავკასიის ძველი», რომლის რედაქტორი უფ-
ერიცაია. დღეს მოგვყავს მხოლოდ ამ წიგ-
ნის შინაარსი და აგრეთვე იმ სტატიებისა,
რომლებს დაბეჭდვასაც რედაქცია შემდეგ
ნომრებში აპირებს.

ამ პირველწიგნში დაბეჭდილია: კავკასიის
არხეოლოგიური მატარებელი, — ისტორიული მნი-
შვნელობა მზისა სომხებში, — მაცხოვრის ხელ-
უქმნელი ხატი თფილისის ანჩისხატის სობო-
როში (სურათით), — ახტალის მონასტერი (სა-
მი სურათით), — ენიაწინის სომხის სამღვდ-
ლოების შენედილობა ბატონ-ყმობაზე (1809
წელს), და მიზეზი გრიბოედოვის მოკვლისა.

შემდეგ ნომრებში, სხვათა შორის, ეს სტა-
ტიები დაბეჭდება: ოსმალეთის წესდებულე-
ბა დასჯაზე, — ნადირ-შაჰი მულაღნოს ევლ-
ზე, — წვერის და თმის მნიშვნელობა სომხებ-
ში, — აზიის ოსმალეთის სტატისტიკა, — ბეთა-
ნიის მონასტერი, — ანატიის მონასტერი, — სა-
მზარეულო და ოჯახობა თფილისის მცხოვ-
რებლებისა მე-XVIII საუკუნეში, — ისტორიუ-
ლი მდგომარეობა ქალისა სომხეთში და სა-

ქართველოში, — მიმოხილვა სომხების ბეჭდი-
სა XVI და XVII საუკუნეებში, — მიმოხილვა
კავკასიის მუზეუმისა და საზოგადო. ბიბლი-
ოთეკის ისტორიული და ეტნოგრაფიული
განყოფილებისა, — კაბენის მონასტერი, — კა-
კასიის გეოლოგიისა და მეტეოროლოგიის
მასალები: მიწის-ძვრა, წყალ-დიდება, მზის
დაბნელება, შიმშილი, ჭირი და სხ. მესუთე
საუკუნეებში, — ბაგეების თამაშობა თფილის-
ში და ალექსანდროპოლში, — სანაგინის მო-
ნასტერი, — მცხეთის სობორო, — შავების ჩა-
მა სომხებში და ქართველებში, — ბეჭდისა და
ბრასლეტის მნიშვნელობა ძველ ხალხებში,
როგორც უფლების ნიშნისა, — ეკრძთ-თავა-
ნისმცემლების საფლავები ღორის საბრის-
ტაოში, — შაჰ-აბას პირველის დაცემა კავკასია-
ზე, — წვეტიანი ზედ-წარწერები სომხეთში, —
ქორწილის წესი თფილისში XIX საუკ., — უფ-
ლება და მდგომარეობა სომხების სამღვდ-
ლოებისა, — ეხტან-გვარგ-ასლანი ლაზარე ბა-
რბსკის სიტყვებით, — სომხების სტამბა ს. პე-
ტერბურში, ნახიჩევანში (დონზე) და ასტრ-
ახანში XVIII საუკ., — რუსეთისაგან მონაწილე-
ობის მიღება სომხების პატრიარქების — დავი-
თისა და დანიელის — ჩუბში, — არხივის-
კოპიის იოსებ არლუთინსკის წერილები,
(1782-1800), — ყვავილის, შაკიკისა, წითელის
და სხ. ავთოყოფობის ექიმობა თფილის-
ში, — ნერსისის წერილები (1801-1843), —
ოძუნის და კობაის მონასტრები, — აღა-მამად-
ხანის დაცემა საქართველოზე, — უმელობის
ექიმობა საქართველოში, — სომხური არაკე-
ბი, — მონაგობები მულანლოს ევლზე XIII, —
გენათის მონასტერი, — ქალაქის სამშვილდეს
ისტორია, — ენიაწინის სამღვდლოების, ნა-
პოლეონის და გერმანიის იმპერატორის მიწერ-
მოწერა, — თ. თ. ორბელიანებისა და არლუ-
თინსკების გვარების ისტორია, — სომხებისა და
ქართველების ოჯახობის უფლება და სხ.

«დროების» კორრესპონდენცია

რაჭა — ლეჩხუმი, ნოემბრის 11-ს.

რაჭადამ იმერეთში წამსვლელმა და იმერეთი-
დამ რაჭაში უთუთო ბუგუჯის სიღვრედ უნდა
გაიაროს, რომელიც მდ. რიონზე იდგა. ამ სიღ-
ვრედ ამას წინათ იყო ნათქვამი გავრით «დრო-
ების» ერთს კორრესპონდენტიაში, რომ კარგა
სახისა რაჭ ეს სიღვი და რიონში ჩავარ-
და. ამის გაკეთებას თაობაზედ უ. უეზდის ნა-
ხაღნიკმა ხოსოგ მღვდელს და თავდა-ზნაურებს,
რომ, რადგან მარტო გლეხებს არ შეუძლიათ მი-
სი გაკეთება, სხვა წოდების კაცები იფილით და
ტყის მასალით შესწავლენ, და გლეხებს მიე-
ტანათ მასალა და ემუშავნათ, სამღვდლოებამ გუ-
ლითადი სურვილი განაცხადა ამ კეთილ საქმეს
შეწყობისა, მაგრამ თავდა-ზნაურებს, როგორც
შეკეტეთ, ნაცვლად შეწყობისა უნაუღიანო უ.
უეზდის ნახაღნიკისათვის, რომ ეს არ აკეთებინებს
საზოგადოებას სიღვი, რომელიც, არა თუ საზო-
გადოების, არამედ მოაგრამისთვისაც საჭიროა.
თავდა-ზნაურები ამბობენ, რომ ჩვენ სიღვის გე-
თების, გისის მუშაობისა და სხვა ამგვარისაგან
თავისუფალი ვართო. მაგრამ, თუ კი მათთვისაც
საჭიროა, მის გლეხებს მის დანაშაულებს აქვსთ,
მარტო იმათ იფიქრონ მისი გაკეთება, მათი რე-
დესაც სხვა წოდების კაცები უეჭვად საზრუ-
ლოებს მითი, ვინემ გლეხები!

ამ მიზეზებისა გამო, ბუგუჯის სიღვი და რაჭა
გაუკეთებელი და რადგან მარტო სიღვი რიონზედ
შეიქმნა არა, თავდა-ზნაურებმა რიონში დაიწყეს
სიღვი და მათი გაკეთებას ვითომ გლეხები, —
იფიქრონ ჩვენ ცნებით წყალშიც ვაგლითა და
საქმენ დაწინა აგრე უსიღვით მარტამ ამ ვიბრ-
მა აი რა მოახდინა: ამ თავის 16-ს ერთი ცხე-
ნისაგან აზნაურთაგანი ჩასვლად წავლამი სიღვი

წინათ სიღვი იყო, ცოტა იმას წვეით. მაგრამ სა-
წვალს წამოქმედ ცხენი და თავისის ცხენით რი-
ონის მსხვერპლი შეიქმნა; მარტო დღეს ეს კაცი
წვლადამ გამოიტანეს მკვდარი.

ამაინის უბედურების მოსდენის შემდეგ, მე
შემსვდა სოფელში წასვლას სიღვი ერთ ალაგას
გლეხებს მოყვართ თავი და სასიღვი თავის
მწუხარებაზედ აზნაურებს, სხვათა შორის, რომ
ისინი არ ეწვლან თავდა-ზნაურებს, მათ უნ-
დათ მათი სიღვი და გზა ჩვენ უკეთით უწინდუ-
ლებ, და ის არ იგინან, რომ გისის მუშაობა და
სიღვის საზოგადო სასარგებლო და ყოველი
წოდების კაცები უნდა შეწყვიტონ ამ საქმეში.
დამართა საუკუნო განსვენება მისცეს რიონში
დამწვალს, იქნება ესა მანც ჩავარდნენ გუ-
ლისსამში და მოკვდნარან რიონის სიღვის გე-
თებაში სხვა წოდების კაცებიო!

ჩვენი უეზდის ნახაღნიკის შეკანებით ერთმა
აქურმა სოფლის ყრილამამ შეადგინა პრეტორი-
ალი, იქირაჟა მსწავლებლები და წარუდგინა უ. ნა-
ხაღნიკს იფილები თავათ სასელმდგანელა წიგნე-
ბისა და სასტუმრის სასიღვიდა. მომეტებული სა-
წილი ამ იფილებს შესწირეს ყრილამას იმათ
შეეგ მოყოთ შემდეგ და სინდისიანათ გლეხე-
ბთა, რომლისთვის ყრილამამ მადლობა გადუ-
სადა. სწავლა ემსწავლებისა ვერ არ დაწყებია.

ლეჩხუმი ამისთანა ბურჯისა დამდგარი, სამეტ-
ნავად მთესში, ტყის მთავებისაგან, რომ ნა-
სკვარს ვერსტზედ გაგიჭირდებათ კაცის დანა-
სვა — და ან როგორ არ იქნება: 24 ოქტომბერს,
შეადგინეს, გაუჩნდა ტყის ნაკლებად მთას
და 28-დის, სახამ თავათ არ დაქა, მატრანი
არ გაუჩნდა. თითქმის ოთხს ვერსტამდე სიგ-
რმით და გადადამდამდამ სულ დაიწვა. ეს მთა
კეუთის, როგორც გავიგე, თავადთ ჩიქვანებს
სა და დანის და გლეხების ნაყუგებათ. ბუგ-
რის კამდის სელში ემსწავლი წახაღნიკი ხომ
გავაგრამათ, სწორეთ სხე დამართა ამ მთასაც.

ლეჩხუმიზე გავიგე, რომ რაჭაში ონის ქალაქი
დამწვარა. მართლაც ამ ახლა სახეში შემსვდა
ონში მისვლას და ისრე თქვენი მტერი, როგორც
ეს ჩვენი რაჭის დედა-ქალაქი იყო: 72 დუქანი
დაფიქრული დამსხვდა და ბუგვი კაცი დაუღუპეს
ამ ქალაქის დაწვას; მთესსაც ბუგვი ალაგას უვიდა
ცენტლი.

ეურემ შარაბაქ.

რუსეთი

«ს. პეტერბურლის უწყებებს» გაუგონია, რომ
ნეჩაევის საქმის გამოძიება ძალიან ნელა მი-
დისო, რადგან ნეჩაევი არ ტყდება თავის ეი-
ნობაზედ და აქამდე კიდევ ამტკიცებსო,
რომ სერბიელი ვარო; ამის გამო ყოველთვის
ჩვენების ჩამორთმევის დროს გამოძიებელი
იძულებულია თარჯიმანის შემწევობით აწარ-
მოვოს საქმეო.

ნიჭინ-ნოვგოროდში ზოგიერთ პირებს
გაუმართავს ისეთი საზოგადოება, რომლის
დანიშნულება ის არის, რომ ნოვგოროდის
გუბერნიამი წერა-კითხვა გაავრცელოს.

ქ. პოლტავა ამას წინათ თითქმის ორი დღე
უპუროთ დარჩენილა. აი, როგორ მომხდარა
ეს საქმე: იქაური მეფურნეები წესდებულები-
სამებრ არ ჰყიდდენ თურმე პურსა და მცხოვ-
რებლები მუდამ სჩოდდენ, რომ პური გა-
დირდაო. ქალაქის გამგებამ მოიხმო ყველა
მეფურნეები და გამოუცხადა მათ, რომ ვინც
ტაქციაზე მომეტებულ ფასათ გაყიდის პურს,
იმას ჯარიმა გადახდებაო. ამის გამო ყველა
მეფურნეებს პირი მიუციათ ერთმანეთისათვის,
რომ დექნები დავკეტოთ და სანამ არ ასწე-

ვენ პურის ფასს, მანამ ნუქმნენ — ექვნიცა
ამ ნაირათ, ორი დღის განმავლობაში ქალა-
ქი თითქმის სულ უპუროთ დარჩენილა და
ორი დღის შემდეგ კი მეფურნეებს ისეე გა-
ულიათ ფურნეები.

მოსკოვში არის ამჟამად ათი საქალბო
სასწავლებელი, რომელშიც 750 შავირდი
დაიარება. ეს რიცხვი ისეთს ქალაქში, რომ
მელშიც 600,000 მცხოვრებელი ითვლება,
რასაკვირველია, ძლიერ ცოტაა. ამის გამო
ქალაქის გამგებამ ამ საქმეზე მოლაპარა-
კება ყოფილა და სხვათა შორის გადაუწყე-
ტიათ: იმდენი საშუალება მოუშალოთ
ქალბების შეკლებსო, რომ თითო შეკლაში,
50 შავირდის მაგიერათ, 100 შავირდის მი-
ლება შეიძლებოდესო, 2) ხუთი ახალი საქა-
ლებო შეკლა გაემართოთ, 3) თითო ახალ-
გახსნილი შეკლისათვის 2,150 მანეთი დაე-
ნიშნოთ და 4) ახლაც თავდარი დაეიქი-
როთო, რომ ახალი სასწავლებლებისათვის
სახლები ეიქიროთ ან ავაშენოთო. ამგვარი
სახსრებით, მოსკოვის ქალაქის გამგებამ
იმედი აქვს, რომ ქალბების განათლებას ცო-
ტათი მაინც წინ წასწევს.

შემოსვენებული ქალბების შეკლების შესა-
დარებლად, ურიგო არ იქნება მოვიყვანოთ აქ
ერთი ისეთი ქალაქის შეკლების ანგარიში,
რომელსაც ევროპაში პირველი ადგილი არ
უჭირავს. ჩვენ ვამბობთ ენაზე, რომელშიც
1864 წელს ითვლებოდა 4 უმაღლესი სას-
წავლებელი ქალბისათვის და 7 ვაჭებისათვის;
მდებალი სასწავლებლები ქალბისათვის — 33
იყო მაშინ და ვაჭებისათვის — 32. ამას გარდა
10 ისეთი სასწავლებელი იყო, რომელშიც
ქალბები და ვაჭები ერთად სწავლობდენ. ყვე-
ლა ეს სასწავლებლები სახელმწიფო სასწავ-
ლებლებია; ახლა კერძო პირების, ორი ამდენ-
ზე მეტი თუ არა, ნაკლები მაინც არ იქნებო-
და. შემოსვენებულ სახელმწიფო სასწავლებ-
ლებში დაიარებოდა 40,000 შავირდი ორივე
ქტისისა. ამასთანავე ისიც უნდა მივიღოთ მხე-
დევლობაში, რომ ვენის მცხოვრებლების რი-
ცხვი მოსკოვისაზე ბევრით მომეტებული არ
არის.

უცხო ქვეყნები

შვეიცარია

წერილები უნკვიდან

V

(დასასრული)

რუსები ამბობენ: «ყოველ სიცულეში — სი-
კეთეც არისო.» მე ვიტყვი: «ყოველ სიკეთე-
ში — სიცულეც არის.» ეს თითქოს პარადოქსი
იყოს, მაგრამ ადელი დასამტკიცებელია,
თუნდ ლიტერატურის მაგალითითა. მოკლეთ
ვიტყვი: ლიტერატურის დანიშნულება იმაშია,
რომ მან უნდა გაავრცელოს საზოგადოებაში
სამართლიანობა, თავისუფლებისა და დამოუ-
კიდებლობის სიყვარული, განათლება, ქვეშა-
რიტი აზრები; ლიტერატურამ უნდა ჩაუწერ-
გოს კაცს სამსახური და თავის შეწირვა სამშო-
ბლოს ბედნიერებისთვის და სხვა... მაგრამ,
შეხედეთ! რამდენი მაგალითები არის ხალხის
ცხოვრებაში ლიტერატურის ბოროტათ მოხ-
მარებისა! ის ხშირათ კერაობის, უსამართ-
ლობის, მონაობის და ათას ნაირ გარყენი-
ლობის და საზარლობის იარაღათ ჰყოფილა
უზრდელ აღამაინების ხელში! ასეთი არიან —
ვილმესანი თავის «ფიგაროთი», კრავიკი თა-
ვის «ფოლოსით.» მართლა, ამას წინეთ წა-
ვიკითხე «ფოლოსში» ერთი თქვენი კარგათ
ნაქნობი ბროშურის ვარჩევა.



«გოლოსი», რასაკვირველია, სრული თანახმად ავტორისა და ქებას შესახებ მის გამჭვირ-ახობას. ძალიან შესაბარალოდ ცოდნის უნდა

ბროშურა არის სწავლაში კოჭლობისა და უმცროსების; ნაყოფი; მაგრამ «გოლოსის» სინარული და ტანის ცემა ამ ბროშურაზე ძალიან გასაკვირველია...

«ეჭვიანობა! აი, რა გვხვს ჩვენ სულ მოკლედ», ამბობს ჰამლეტი. მაგრამ, ამ შემთხვევაში არა ვარ ჰამლეტის თანხმად: ეჭვიანობა ათასნაირი შეიძლება; რამდენი საქმე ხდება ქვეყანაზედ საზიზღარი და ადამიანის ღირსების შემარცხენელი? არცერთის დამტკიცება საბუნებრივად არ შეიძლება, იქნება, მაგრამ, ამ მიზეზის გამო, განა იმათი სინამდვილის უარის ჰყოფას ვაპირებდეთ თითონ მოქმედნი პირნი! როგორც არ იყოს, ჩემთვის საკმაოდ გარემოება, რომ «გოლოსი» აღტაცებულია უ. ავტორის თეორიით? ისინი, ვინც იცნობენ ამ ორგანის წასრულს და ესლანდელს მიმართულებას, (თუ კი ეთქმის მიმართულება იმის გროშულ რიბერალობას, სიცრუისა და სადაგელ დანოსების წერას, ხან შავის ლანდელასა და ხან თეთრისას), ამათვის აღარ არის საჭირო ავტორის განზრახვის განმარტება... «მეთევზე, მეთევზესა შორიდგან იცნობს.» მაგრამ წინ ნაბიჯი და ჯილდო არის უ. ავტორისთვის «გოლოსთან» ერთ ბანაკში ჰყოფნა! «გოლოსის» ქებას, კომმენტარია არ სჭირიან. ბოროტებას, მთელი დედა-მეწა რომ გადაფარო, მანც ვერ დამალავ, ამბობს შექსპირი.

უნდა აღვიარო, რომ მე სრულიად არა მაქვს ხალისი, «გოლოსს» ბასი გაუწიო და გულდასმით შეუდგე მისი აზრების დარღვევას, შესახებ კაცასიელ ხალხებისა. ამისთვის ორი პატივსაცემი მიზეზია ჩემკენ: ერთი—ჩვენი მდგომარეობა არ მადლებს ნებას და მეორე ისეთი აზრის უსაფუძვლოების დამტკიცების ცდა, რომელიც თითონაც არეულ-დარეული და შეუწყობავია, ღირს კი? ერთს ადგილას ამბობს «გოლოსი»: ადგილობრივი ენები მხოლოდ განათლების მისაღებათ არის საჭირო, — თითქო, რომელიმე ენა—მისი ან არის და არა სხვა უფლებები! აი, ლოლიკა?... მეორე ადგილს ამ აზრს არღვევს შემდეგი სიტყვებით:

«ადგილობრივი ენების გაერცელება ბარბაროსობის ქადაგება იქნება; რადგანაც ამ ხალხებს არა აქვთ არავითარი კულტურა, იმათი არსებობა შეუძლებელია.» თანხმად ვარ, რომ ჩვენი კულტურა ღარიბია ისე, როგორც ზოგიერთი სამოცდაათი და სამოცი მილიონი ხალხის კულტურა, მაგრამ ამ მიზეზით რომ ხალხებს სიცოცხლე აღკალოდა, ენლა ცას ქვეშეზედ არავინ იქნებოდა...

ენლა დაუგდეთ «გოლოსის» ნაციებზედ მსჯელობას ყური: «მთელ ორგანიზმში» (ე. ი. სახელმწიფოში) შეუძლებელია სხვა და სხვა ენები ერთი მეორესთან მოთავსდნ.» თეორეტიულად ამ ღრმის ბრძნის გაყალბება შორს წავიყვანდა. სჯობია, ცხად მაგალითებს შევხედოთ და დავინახოთ, თუ მართლა არ მოხერხდება ერთად რამდენიმე ენის მოთავსება: ავსტრიაში, უმთავრეს ენებათ ირიცხება: ნემესური, ენგრიული, სლოვენური; მეერთებულ ამერიკის შტატებ-

ში: ინგლისური, ფრანკო-სუბული, ნემესური; შვეიცარიაში: ფრანკო-სუბული, ნემესური, იტალიანური.

ამ ენებზედ არის სწავლა, საქმეების წარმოება და ყოველი საზოგადო საქმე შემოხსენებულ სახელმწიფოებში. მაგრამ თითონ «გოლოსსაც» რომ ჰკითხოთ, ვერ გაჰხედავს იმის თქმას, რომ შეერთებული შტატები ანუ შვეიცარია, მთელი ორგანიზმი არ იყენენ, რომ ისინი მოწინავე ხალხები არ იყენენ განათლებაში? უკანასკნელად ერთს შესანიშნავ ამბავს გადმოგცემთ «გოლოსიდან.» ის ამბობს: «გურული, იმერული, კახელი, ქართველი ერთი მეორეს ლაპარაკს ვერ გაიგებენო.» როგორ მოგწონს ეს? რა არის ეს? — უახრო სიტყუე, თუ უსინდისო განზრახვა? — არ გვემის... მაგრამ, დავანებოთ ამ უსიამოვნო საგნებზედ ლაპარაკს თავი; ამ ნაირი ნამდვილი ცნობების შემდეგ, განა საკადრისია მუსაიფის გაგრძელება?..

ახირებული ხალხა ეს შვეიცარიელები! მაშინ, როდესაც ხალხთა შორის საზოგადოებას (ინტერნაციონალურს) ყოველ სახელმწიფოში—გარდა ინგლისისა და ამერიკის—სდევნიან, და ჟულ ფარის მანიფესტი კიდევ უფრო ამტკიცებს ბურჟუაზიის მიზსა და თრთოლას ინტერნაციონალის პრინციპების წინაშე, ყენევაში ამ საზოგადოების წევრნი მართებლობის წევრთ რიცხვში არიან და საქვეყნო საქმეებს განაგებენ. რასაკვირველია, ვაოცდება მკითხველი და იტყვის: «ამ პროგრამის მომხრე პირებს» — რომელსაც მე ქვევით მოვიყვან მოკლეთ — «რათ უნდა სდევნიდეს და აფიწროებდეს მთავრობა?» მაგრამ ჩვენს საუკრწეში სამართლის ტალახში ვათვლა, თავისუფლების შეგინება, ხალხის ბედითათამაში, როგორც ჯანდრავის კაცებითა, გულს აღარ გვიღვლებს... შევიჩვიეთ! დასაჯერებელია, გარდაღლის საუკუნეში, ახალი რაინდი გუშინდელი გამომცხვარი თადი გადმოხდის ევროპას: «ძლიერება არის სამართალი!» სამწუხაროთ, არა თუ დასაჯერებელი, წმინდა სიმართლეა! ერთი კარგი ღირსება აქვს ბისმარკს: ის თავის უსამართლობას თავისუფლების ღეჩას არ აფარებს ხოლმე, როგორც გასწავლული ფოკუსმის ტეჩი ჩვენი დროისა, ნაპოლონ მესამე.

ნუ თუ ქვეშაირტება ისეთი გამკლელი სტუმარია, როგორც ტანსამოსის მოდა ან ჩინოენიკობა, ადვოკატობა? რას ვანბობ! ნეტავი, ასე შეუხებელი იყოს სამართალი და ამდენი დამცველი ჰყავდეს მას, მაშინ რალა უჭირდა კაცობრიობას! მაგრამ რაც უნდა დახლართული იყოს ესლანდელი აზრი, მიმართულბა, ლტოლვა, — რაც უნდა ცუდ მდგომარობაში ვიყოთ, შეუძლებელია ერთ წამსაც მივიღოთ ის: რომ ქვეყანაზედ სამართლიანობა და სიყვარული არ იქნება. მალე, რომ ჭრიზიკური ძალა, მხეცური ინსტინქტები იმეფებენ დიდ ხანს! არა! ამ აზრზედ დათანხმება თავის ხელით თავის მოკვლას ემზავება. სანატრელი დღის მოახლოება ჩვენზედვე არის დამოკიდებული, ევბროლოთ ხალხის დამზავრეულ მიზეზებს, წინააღმდეგეთ მხნეთ ბოროტებას და ეჭვი არ არის, ენახეთ გამარჯვების დღეს! «ეჭვბდეთ და პოვოთ,» «ირეკდეთ და განგელოთ» — ეს დიდებული სიტყვებია!...

«არ არის უფლებება, გარეშე ცალდებულბისა, არ არის ცალდებულბება, გარეშე უფლებებისა.» ეს არის ინტერნაციონალის დევიზი; მთელი მისი პროგრამა ამ სიტყვების განმარტებაა. ხალხთა შორის საზოგადოება სტილიობს: 1) რომ ყველა მუშა-

თითონ თავის ღონით განთავისუფლებული იქნეს, 2) რომ მუშები თავის შრომის პატრონი შეიქნენ, რომ ერთბა საზოგადოების ნაწილში ბატონათ არ გაუხდეს მეორესა 3) რომ მუშების დამოკიდებულება თავიანთ ალებზედ მაგნებელია განათლებისათვის და ყოველი ზნეობით დამტკიცების, სოციალური და პოლიტიკური უსამართლობის მიზეზია, 4) რომ ეკონომიური განთავისუფლება მუშებისა დიდი საქმეა, რომლისთვის ყოველი პოლიტიკური შემთხვევა უნდა იხმარონ, 5) რომ ყოველი მეცადინეობა მუშებისა დღემდე უნამყოფო იყო, რადგან მათ შორის არ სუფევედა თანხმობა და მჭური სიყვარული, 6) რომ მუშა ხალხის განთავისუფლება არ არის ადგილობრივი, ან ნაციონალური, არამედ ეს არის მიზანი ყოველი განათლებული ქვეყნისა და ყველამ მოწაწილეობა უნდა მიიღოს ამში.

კონგრესმა, რომელიც პირველად 1866 წ. შეიკრიბა ქენევაში, გამოაცხადა, რომ არავითარს განხეგებას არ ჰპოვებს ის სხვა და სხვა ხალხებს შორის, რომ კაცი უნდა ხელთმძღვანელობდეს ნიადაგ შემდეგი პრინციპებით: სიმართლით, ქვეშაირტებით, ზნეობით. კონგრესმა იცნო ყველა ადამიანი კაცობრიობის წევრათ, რომელთაც აქვთ უფლება მოითხოვონ სამოქალაქო კაცის სიმართლე, არა თუ მარტო თავისთვის, არამედ ყველასთვის, ვინც კი თავის მოვალეობას ასრულებს. როგორ მოგწონს, რომ იმ საზოგადოებას, რომელსაც ამისთანა უმანკო და გონიერი მიზანი აქვს, ისე სდევნიან, როგორც ძველ ქრისტიანებს ნერონის დროსა? მაგრამ ქრისტიანებს იმ ტანჯვით და წამებით, რომელიც მათ გასწიეს, არა წაუგიათრა; უგუნურმა მტერმა არ იცოდა, რომ რაც უფრო მხურვალეთ ებრძოდა ქრისტიანობას, ის მით წევრს და ძლიერებას იძენდა. ყოველი ახალი სწავლის ბედი, რომელიც ჯერ საზოგადოებას არ მიუღია, ამ ნაირია. თუ ძველი წესი მტკიცე და შეუწყველია, რალა დაცვა სჭირია მას? განა იმ კარდინალებს, რომელთაც არ სურსთ მიიღონ კოპერნიკის სისტემა და წინააღმდეგი არიან — დაარწმუნებს ვინმე, რომ ისინი სცდებიან? თუ რომელიმე საგანი ქვეშაირტება, იმას რაც ვინდა ბერი ედავო, მოინდომო ვაცრუება, თქვენი იარაღი ვერაფერს აენებს. მაგრამ, როდესაც საზოგადოება რომელიმე პრინციპს თავის მთარველობის ქვეშ მიიღებს, ეს იმ პრინციპის სიკვდილის ნიშანია: ცოცხალს რალა წამლებით შეხეება სჭირიან, რომ არ დაღუპეს?

დ. ზურაბისშვილი.

ქმეპ.

საფრანგეთი

ამ ნოემბრის დამდეგს ვერსალის ნაციონალურ კრებაში ისეთი ამბები მოხდა, რომელმანც მთელი საფრანგეთის საზოგადოება ალაპარაკა და ცოტა არ იყოს კიდევ შეაშინა. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ტიერის ეპისტოლეს წაკითხვის შემდეგ, ღენერალმა შანგარნიემ ერთს სხდომაში დაიწყო ლაპარაკი გამბეტას მოგზავრობისა და იმისგან წარმოთქმული სიტყვების თაობაზე. ის ამტკიცებდა, რომ გამბეტამ თავის სიტყვაში, რომელიც გრენობლში წარმოსთქვა, შეურაცყოფა მიაცენა ნაციონალურ კრებას, რომ ის აძაგებდა ვაჭრებს და იმათსა და მუშებს შუა განსეთქილების ჩამოგდება უნდოდაო. ბოლოს შანგარნიემ გაცხარებით მოითხოვა მმართველობისაგან, რომ იმან გასწყვიტოს ყოველგვარი კავშირი ისეთს თავხედებთან და მოჯანყებებთან, რომელნიც მუდამ მზათ არიან და ცდილობენო, რომ მთელი სახელმწიფო წყო-

ბილობა გადაბრუნონ და [სიტყვების შემდეგ კრებაში] ამ სიტყვების შემდეგ კრებაში [სიტყვების შემდეგ] ბოლოს ტრიბუნაზე ავიდა ტიერი და გამოაცხადა, რომ ამ უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში, ჩემის მოქმედებით და სიტყვით, მე დავამტკიცეო, რომ რევოლუციონერებისა და დემოკრატების მომხრე არა ვარო. ტიერმა მოითხოვა, რომ კრებას პირდაპირ გამოეცხადებინა: აქვს იმის ნდობა, თუ არა?

შანგარნიეს სიტყვამ მარჯვენა მხარე (მოწარხიელები) აღტაცებაში მოიყვანა, რადგანაც ესლანდელ რესპუბლიკის მიმართებლობაზე ის უკმაყოფილებას აცხადებს. ტიერს მარჯვენა მხარე უკრავდა ტანსა და პირდაპირ თანაგრძობას უცხადებდა, თუმცა ზოგი ისეთი აზრები წარმოთქვა, რომელიც ნამდვილი რესპუბლიკელებისთვის მოსაწონი არ უნდა ყოფილიყო; მაგრამ ამ შემთხვევაში იმის მოწინააღმდეგე მარჯვენა მხარე იყო, და მარცხენას, უეჭველია, იმის მხარე უნდა დეჭირა, რადგან ის არის რესპუბლიკის წარმომადგენელი. ეს სხდომა იყო ნოემბრის 18-ს. ამის შემდგომ კრებამ დანიშნა კამისია, რომელსაც უნდა გამოეცხადებინა თავის აზრი ტიერის ეპისტოლეს თაობაზე და იმ კონსტიტუციის რეფორმებზე, რომელზედაც კრებაში და საზოგადოებაში ლაპარაკობენ. კრებისა და საზოგადოებისა ცომეტეტიული ნაწილი თხოულობს, როგორც მკითხველმაც იცის, რომ 1) ტიერი ოთხი ან ხუთი წლის განმავლობაში კიდევ დარჩეს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტათ, 2) ამოირჩიონ ეიცეპრეზიდენტი, 3) ესლანდელი კრება ან სულ ერთიანად დაითხოვონ და მის ნაცვლად ახალი კრება ამოარჩიონ და ან მესხთედ-მესხთედობით განახლონ, 4) გამოიცეს ახალი აღმორჩევითი კანონი და 5) მინისტრები კრებისა და არა პრეზიდენტის წინ იყენენ პასუხისმგებელნიო.

შემოხსენებულ კამისიას შეუდგენია ტიერის ეპისტოლეს პასუხი და 14 (26) ნოემბერს წარუდგენია ის ნაციონალური კრებისათვის. ამ პასუხში სხვათა შორის მოხსენებულთა, რომ საფრანგეთი დიდათ მადლობელია ტიერისაო, რადგან იმისაგან დიდი დამსახურება აქვსო; ახლანდელი ნაციონალური კრება არ დაითხოვება, სანამ ნემესები არ გაუდენ საფრანგეთიდან და სანამ შიგ საფრანგეთშიაც მშვიდობიანობა არ დამკვიდრდებაო. შემდეგ ნათქამია, რომ, თუ ახლანდელი მმართველობა არ მოიშორებს თავიდან სახელმწიფო წყობილობის დაუწყნარებელ მტერებს, კონსერვატორები კონსერვატორული რესპუბლიკის მხარეს არ დაიქრენო.

ამგვარი პასუხა, რასაკვირველია, უარესად გააბრაზებს ტიერს და საზოგადოათ ყველა რესპუბლიკელებს. ეს არის უკანასკნელი ტელეგრაფიული ცნობები საფრანგეთიდან იმ კრიზისის თაობაზე, რომელიც ნოემბრის 18-ს მოხდა ნაციონალურ კრებაში.

გაზეთებში ამბობენ, რომ კონსერვატორული პარტია თავის უკანასკნელ ძალას კრებს და ყოველი ღონის-ძიებით ცდილობს, რომ რესპუბლიკა არ დამკვიდრებინოს ტიერს საფრანგეთშიო. საზოგადოებაში, განსაკუთრებით პარიჟში, ათასნაირი სხვა და სხვა ხმები დაიარება: ზოგი ამბობს, რომ ტიერი მალე ჯარს მოიხმობს და ახლანდელ კრებას გადენისო, ზოგი ამტკიცებს, რომ ტიერი პრეზიდენტობის თავის დანებებას აპირებს და მის ნაცვლად კრების მარჯვენა მხარემ ესლანდესამი კაცი ამოარჩია საფრანგეთის გამგებელათაო: მაკ-მაჰონი, ლადმირო და შანგარნიეო; ზოგან კიდევ ისმის, რომ მალე ისევე



ნაპოლეონი მობრძანდება საფრანგეთში და სხვა. მაგრამ, როგორც სხანს და როგორც ზოგიერთი გაზეთები დარწმუნებით ამბობენ, ეს ამბავი ასე ცუდად არ გათავდება: საფრანგებელია, რომ ეხლანდელი კრების მომეტებული ნაწილი (მარჯვენა მხარე) ბოლოს დაემორჩილება ტიერს და იმის ნებაზე მოიქცევა. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ტიერს ეხლა ერთობ ბევრი თანამგობრული ჰყავს და იმის პრეზიდენტობის მიტოვება და კონსერვატორების გამარჯვება, ურევოლიუციოთ არ მოხდება. ეს კარგათ იციან კონსერვატორებმა და ამის გამო ვერ გაბედავენ, რომ თავის ნებაზე მოიქცნენ. რასაკვირველია, დარწმუნებით რისამე თქმა არავის არ შეუძლია, რადგან საფრანგეთი ეხლა ისეთ მდგომარეობაშია, რომ წინ და წინ დანახვა და თქმა — თუ რა მოხდება იქ ამ მოკლე ხანში, — ძლიერ ძნელი საქმეა.

ინგლისი

ამ უკანასკნელ დროს ინგლისში კიდევ ჩამოვარდა ლაპარაკი აღმორჩევით უფლებებზე. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ინგლისის, შოტლანდიის და ირლანდიის ქალაქებს შედარებით უფრო ნაკლები ხმა აქვთ, პარლამენტისათვის დეპუტატების ამორჩევის დროს, ვიდრე სოფლებსა. ეს იმიტომ არის, რომ როგორც ყველგან საზოგადოთ დიდ ბრიტანიაშიაც სოფელი ხალხი ყოველთვის უფრო კონსერვატორული აზრებისა და ძველი ცხოვრების და წესების მომხრე, ვიდრე ქალაქის მცხოვრებლები, განსაკუთრებით მუშა-ხალხი, რომელიც, უძველია, ახლანდელ მდგომარეობის და წყობილობის კმაყოფილი არ იქნება, რადგან ეს მდგომარეობა იმათთვის ძლიერ ცუდია და ახლანდელი წყობილებაც თითქმის იმათ უსაპიროესს მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს. რადგანაც მმართველობას არ ჰსურდა, რომ ამგვარი უკმაყოფილო ხალხის წარმომადგენლები ინგლისის პარლამენტში გამრავლებულიყვნენ, ამის გამო ისეთი აღმორჩევითი კანონი დადგინეს, რომლის ძალითაც პარლამენტში ყოველთვის მომეტებული ნაწილი სოფლის დეპუტატები შედიან და ეწინააღმდეგებიან რადიკალური წევრების ყოველ მოთხოვნილებას შესრულებას.

აი, ამ უსამართლო კანონის მოსპობას ცდილობს ეხლა ინგლისის მოწინავე საზოგადოება და ამ საქმეზე მოსალაპარაკებლად ამას წინათ, სხვათა შორის, ლონდონში ყოფილა მიტინგი. ამ მიტინგზე ზოგიერთი მუშების მომხრე დეპუტატებიც დასწრებულან და ერთ-ხმით გამოუცხადებიათ სურვირი, რომ მმართველობამ ისეთი აღმორჩევითი კანონი უნდა გამოცეს, რომ სოფლები და ქალაქის მცხოვრებლები ამ საქმეში გათანაწორებული იყვნენ.

იტალია

შარშანწინ იტალიის მმართველობამ კანონი გამოსცა, რომლის ძალითაც იტალიის ყველა საეკლესიო მამულები ხაზინაში შეირიცხნენ და ეკლესიებსა და მონასტრებს, მათ ნაცვლათ, ერთხელეც გადაწყვეტილი ფული მიეცემათ. ერთს იტალიურ გაზეთში სწერენ, რომ ამ გვარი კანონის პროექტი ეხლა რომის მახრის შესახებაც შეუტანია ერთს დეპუტატს და პარლამენტისაგან დამტკიცებას მოელოდა.

— 12 (24) ნოემბერს რომში უნდა მოკრებილიყო მიტინგი ანუ კრება, რომელზედაც ხალხს უნდა მოელოებინათ იმის თაობაზე, რომ დეპუტატების (ხალხის წარმო-

მადგენლების) ამორჩევის დროს იტალიის ყველა სრულწლოვან მოქალაქეს უნდა ჰქონდეს მონაწილეობის მიღების უფლება.

ნარეკი

ერთს ნემდურს გასეთში შემდეგი ცნობების დაბეჭდილი იმ სახელგანთქალებზე, რომელნიც ციურისის უნივერსიტეტში სწავლობენ:

ამ წამათრს სულ 48 ქალი შესულა ციურისის უნივერსიტეტში; 30 მედიცინის ფაკულტეტზე, 17 ფილოსოფიურზე და 1 იურიდიულზე. ამ რიცხვიდან ერთი შეეცანა იქნა ქალი, ერთი ნემდურის, ერთი ავსტრიელი, ერთი ამერიკელი და 44 რუსის ქალი. წელს წავსულს სულ 67 ქალი სემელოზად ლექტორს; მასხადამე ესლას ამ უნივერსიტეტში სულ 109 ქალი დაირაბა. ზოგიერთები ამტკიცებდნენ, მალე ციურისის უნივერსიტეტში იმდენი ქალემა მოგროვდებინათ, რომ ის სრულიად საქალბო უნივერსიტეტი შეიქნებოდა და ეკუთხა დაფთხობას. მაგრამ ციურისის ამის წინააღმდეგ გუნდებს: 1864 წელს, როდესაც პირველად წაქეზა ერთი ქალი სტუდენტთა ციურისის უნივერსიტეტში, სულ 232 სტუდენტი-გატი იყო და ესლას ამ წამათრში 452 სტუდენტი-გატი და 109 ქალი. უნივერსიტეტს გარდა, ამ უამად ციურისის პოლიტექნიკურ შკოლასაც არის 4 ქალი; ერთი მესანიკურ განყოფილებაზე, ორი ქიმიურზე და ერთიც ინჟინრების განყოფილებაზე სწავლობას.

ამ მოკლე ხანში ერთს ინგლისელ ქალს დაუწყია ციურისის უნივერსიტეტში ეგზამენი და დოქტორის დიპლომი მიუღია. ეს შექმნე ქალია, რომელსთვისაც ესლას მათგანთ დოქტორის დიპლომი.

ტიგაში შემდგარა ერთი ახირებული საზოგადოება, რომლის წევრებს ერთმანეთში ზირობას შეუგრავთ, რომ დღეის შემდეგ ქუჩაზე ნანობებს ქუდს ნუ მოუხდით; ეს სულელური სკეულებს არის, რომლისგანაც შესწათ გვირგვამა თავით. ამ საზოგადოების წევრებს ქუდსე ნამსები აქვთ თურმე, რომელიც მოასწავებს, რომ ისინი ქუდს არ ისლანს.

საფრანგეთში არის ამ უამად—5,674 წიგნის მალაზია, 1399 ტიპოგრაფია და 1,624 ლიტოგრაფია. ამ რიცხვიდან განსაკუთრებით ზარბეში არის: 100-ზე მეტი წიგნის მალაზია, თითქმის 130 ტიპოგრაფია და 400 ლიტოგრაფია. დრო-გამოშეებით გამოცემა (ეურნეულ-განვითება) საფრანგეთში 2,303 არის და ამ რიცხვიდან მარტო ზარბეში 846 პერიოდიული გამოცემა გამოდის.

სამსრეთი რუსეთის ერთს სოფელში შემდეგი ამბავი მომხდარა: ერთს 17 წლის გარაქის ქალს გაქმისტიანების სუპილი გამოუცხადებია. გარაქებს ეს ამბავი შეუტყუათ და, რასკვირეულია, მალის აღელებულს; მაგრამ ქმისტიანებს აუყვანათ ეს ქალი და ერთი ხეხუთური მღვდლისთვის მიუბარებიათ, ეური უგდე და ქმისტიანს სარწმუნოებაც შესწავლეთ. გარაქები მისულან ამ მღვდელთან, ერთი ოქროს მეწკა მიუციათ ქმისტიანს და თავის განდგომილი ქალი წაუყვანათ. შემდეგ მღვდლისთვის უთქვამთ: გე ოქროს მეწკა უგანე მოგვეცი, თორემ ესლავ შენ მთავრობასთან გიჩივლებთ! მღვდელი შემსებულა და მეწკავს უგან დაურუნებია. ამხანათ გარაქებს გაუმარჯუბათ და სიამოვნებით წვერებსე სელს ისვამენ თურმე...

ინგლისის განვითარებაში გამოცხადებულა ერთი ამბავი, რომლის მსგავსი, შკონი, მთელს დედამიწაზე არ გავრინდა: ინგლისის ქალაქში — ტიკერტონში რამდენიმე თვის განმავლობაში მოსამართლეები სრულიად უსაქმოდ იყვნენ თურმე, რადგანაც ამ დროს განმავლობაში არცერთი არც სადავო და არც სისხლის სამართლის საქმე არ ამტყუდარა ამ ქალაქში. იქაური სახეობილე ეს თითქმის ნასკვარი წელიწადის თურმე, რაც ცარიელია, რადგანაც დანაშაული არავინ არის, რომ ჩასვან...

ინგლისში და განსაკუთრებით ამერიკაში სშირათ დანისაუთ ქუჩებსე თავ-მოყრილ ხალხს, რომელიც უფრო უგდებს აქვე გათვარსე მდგომ ქალაქებს. ეს ქალაქებსე უფრო სშირად რომელსამე სამელოთ წერილის მუხლს უხსნიან ხალხს. ამას წინათ ერთს ამისთანა ქალაქებსე მღვდელს ლონდონში ერთი თავის მსმენელი მოუკლავს. აი, როგორ მომხდარა ეს საქმე: ამ მსმენელს რადაც ახრი ქალაქებსე არ მოსწონებია და წინააღმდეგი ღაზარაკი დაუწია. ქალაქებსე, მასხის მავივით, უთქვამს ამისთვის, რომ შენ გამოსულელებული ბუბერი ხარ! — თუ ერთსელ კიდევ გაგებინა მავ სიტუების გამოკრება, მაგათედრიდამ მუშითი გადმოგატებო. უთხრა ამ ბებრს. «გიდევი ვიძიარებ, რომ გამოსულელებული ბუბერი ხარ.» ამ დროს მსმენელი მავრდა ქალაქებსე, მაგრამ ამის ისეთ ხანათ ჩაჭკრა მუშითი ცხვირ-ზირში, რომ ის იქვე წაიქცა და მერე დღეს კიდევ მოკვდა....

თუმა საზოგადოდ ადვოკატები ესლას ნეტარებაში არიან, მაგრამ, როგორც სხანს ხან-და-ხან მათც უჭირთ საქმე. აი, მაგალითი: ერთს მოსკოველ ადვოკატს თურმე ვალები დაეფა და გადასდის სასხარს კი ვერსად კრას სედავა. იფიქრა, იფიქრა, და ბოლოს მოიფიქრა, რომ სიკვდილს მოეგონებო. მართლაც, ერთს ამის ამხანავმა გამოაცხადა, რომ ამ და ამ ადვოკატმა ბეჭდ შრომის გერ გაუძლო და დემტონს მიანარს სულით, და იმის საფლავზე ჭრელი განხანის წიგნი გამოა

სატენა. თვითონ ადვოკატები ამისთანა რამესე კიეში და იქ სელ-სელე დაიწყო თავის მოქმედება. მაგრამ, საუბედროთ, ბოლოს შეუტყვეს ეს ამბავი და სამართალში მისცეს....

ქალაქს ანთელში ერთი ახირებული მკვლელობა მოხდა: ერთსელ ერთი იქაური გლეხი და იმის ცოლი მარტო დარჩნენ თურმე სასლში; ცოლმა რადაც თამაშობა მოიგონა და ამხანათ თავს იქვე დაწინ. ამ თამაშობის დროს, ცოლმა სუძრობით ჰერ ორივე სელები შეუგრა ქმარს უგან და მერე ატრეტე სუძრობით ეულში წაუჭირა ხელი. მ:გრამ ბოლოს სუძრობას თავი დაანება და მართლად დასწო. ოლქის სასამართლო ექიმების დამოწმებით, დარწმუნდა, რომ ამ დროს ეს ქალი სრულ ჭკუაში არ იყო და ამას გამო სასკულისგან განათავისუფლეს...

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ანქანს დქმის

გამომცემელი

ნიკოლაო მ მ ე ი ფ ი ა ნ ი

აპირებს ამ მოკლე ხანში შეუდგეს სხვა სახ. სხვა წიგნების გამოცემას და ამიტომ სხობს ყველას, ვისაც იმისგან ანქანს დქმის წიგნები გასასყიდლ მიუღია, ანგრობი გაუთავონ და გაყოფულ წიგნებში მიღებული ფული გამოუგზავნონ დაუგვიანებლივ ამ აღმსით:

Be Tiflis. Harloto Kumiani.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

«სასოფლო გაზეთის» გამოცემაზე

1873 წელს

მოამავლს წელს «სასოფლო გაზეთი» გამოვა იმავე პროგრამით და რედაქცია ეცდება წასულ წლებზე უკეთ ასრულოს თავის მოვალეობა.

ხელის მოწერა «სასოფლო გაზეთზე» შეიძლება:

ტფილისში «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში გ. წერეთლის და კამ. სტამბაში, ბებუთოვის სახლში ხანის ქუჩაზე.

ქუთაისში — გერასიმე კლანდარისშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ნ. ნიკოლაძის სახლებში სილაზე.

თფილისსა და ქუთაისს გარეშე მცხოვრებთა შემდეგი აღრქით შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი: *Be Tiflis. es kontory Redakcii «Selskoiy Gazety» na Xankoiy yuliy. D. Bebytova.*

სელმისწერი ფსი:

ერთი წლისა თფილისში და აგრეთვე სხვა ადგი: გაუგზავნელათ. გაგზავნით. ლებში — — — — — 3 მან. — — 4 მან. ნახევარის წლისა — — — — — 1 მ. 50 კ. 2 მ.

ხელის მომწერლებს უმორჩილესათ ესთხოვთ, თუ დაიბარებენ, გარკვევით შემოგვითვლონ თვისი სახელი გვარი და ადგილ-სამყოფი.